სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 4 დეკემბერი, 2018

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხნის ჰკვეთს დღევანდელს, თუ კაცს პბოგტესი,
ჩიხსვლა ადამიანსა თურ სიფყვად ამ მიხნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

2019

გილოცავთ შობა-ახალ წელს,
გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და
ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას!

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი აკად. გ.ალფსიძე

ქართველი მეცნიერის აღიარება

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად ულოცავს სახელოვან მეცნიერს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის წევრია 2015 წლიდან.

2018 წლის 22-23 ნოემბერს იტალიის ქალაქ ფლორენციაში გაიმართა გენერალური ასამბლეა, სადაც ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. გურამ ალექსიძე არის ცნობილი მეცნიერი საქართველოში და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე, მის მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობილი შრომები კარგად არის ცნობილი ჩვენში და საზღვარგარეთ, მათ შორის მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში.

მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 17 წიგნი და 10-ზე მეტი ბროშურა. მათგან 80-ზე მეტი საერთაშორისო გამოცემებში. აკად. გურამ ალექსიძის შრომები ძირითადად ეხება სასოფლო - სამეურნეო კულტურების (ვაზის, ხეხილის, ციტრუსების და სხვა) მავნებელ - დაავადებებისგან ინტეგრირებულ დაცვას. ის არის ამ მიმართულების ერთ - ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მისი ავტორობით დღესაც მიმდინარეობს კვლევები აგროცენოზებში გავრცელებული მავნე და სასარგებლო მწერების (ტკიპების) ურთიერთდამოკიდებულებაში მათემატიკური მოდელირების სისტემების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით ის ერთ - ერთი პიონერია მცენარეთა დაცვაში არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

წლების მანძილზე აქტიურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ეწევა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორიცაა: **CACAARI** (ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარე), **CGIAR, FAO, ICARDA, CIMMYT, BioversitiInterneiSenel, TAP.**

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პროფ. ალექსიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის არიან უცხოელი სპეციალისტებიც.

ვულოცავთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას!

ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 25 ოქტომბერს მოისმინა მოხსენება "**ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი". მომხსენებლები აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია, დოქტორი ზურაბ ბუკია.**

აღინიშნა, რომ დავოსის მიმდინარე წლის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სახელმწიფოთა მეთაურების, ცნობილი ეკონომისტებისა და ფინანსისტების, ბანკირებისა და სოციოლოგების გამოსვლებში მთავარი ყურადღება ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის განხილვას დაეთმო. უმეტესი მათგანის შეფასებით აღნიშნული მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მოსახლეობას მაქსიმალურად დაასაქმებს და მათი შემოსავლების ზრდის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. იგი არ ითვალისწინებს სიღარიბის დაძლევას ამ კატეგორიის ადამიანებზე სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილების გზით, რასაც ,,კალდორ-ჰიკსის" ლოგიკას უწოდებენ, არამედ იმავე მიზნის მიღწევას უშუალოდ ღარიბი მუშახელის შრომითი მონაწილეობით.

რაც მთავარია, მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ვალდებულების აღებას ანუ იმის განსაზღვრას თუ რომელი სფერო უნდა განვითარდეს პირველ რიგში და რა გზით. ფაქტიურად საქმე ეხება ლიბერალური ეკონომკური პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებებს, რაც ,,მცირე სახელმწიფოს" მომხრეებისაგან განსხვავებით, ,,დიდი სახელმწიფოს" უპირატეს ჩანაცვლებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება მსოფლიო ბანკის მიერ 1996 წელს ჩინეთში ჩატარებული შეხვედრა, სადაც უპირატესობა ეკონომიკური განვითარების ჩინურ და აზია-წყნარი ოკეანიის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას ანუ ინკლუზიურ ეკონომიკას მიენიჭა.

საქართველოში ყველა პირობა არსებობდა ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებაში სახელმწიფოს უპირატესი მონაწილეობისათვის. ამასვე გვირჩევდა გაეროს ჟენევის ეკონომიკური კომისია, თუმცა ჩვენ არა თუ ლიბერალური, არამედ ულტრალიბერალური გზა ავირჩიეთ და ჯერჯერობით ამ მოდელს ვუჭერთ მხარს.

მოვიყვანთ ერთ კურიოზულ მაგალითს. მიმდინარე წლის მაისში, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7,6 %-ით, რამაც წლის თვეებზე გადაანგარიშებით საშუალოდ შეადგინა 6,1 %. ამავე დროს, გაეროს ეგიდით იუნისეფის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში 2012 წლის შემდეგ სიღარიბე გაზრდილია 2,9 %-ით. ეს, შესაძლებელი იყო მომხდარიყო ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა მინდობილი იყო ბაზარზე ანუ უკიდურესად ლიბერალური იყო.

რატომ დადგა მსოფლიოს წინაშე ასე მწვავედ ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების საკითხი?. იმიტომ ხომ არა, რომ XX საუკუნე იყო საშუალო კლასის ფორმირების, ხოლო XXI საუკუნე კი - საზოგადოების ფენებად დაყოფის საუკუნე?

მსოფლიოში გაჩნდნენ უმდიდრესი ადამიანები, კომპანიები, რომელთა წლიური შემოსავალი ტრილიონ დოლარს აღემატება. ქონება გროვდება ადამიანთა მცირე ჯგუფში. იზრდება დაძაბულობა მდიდრებსა და ღარიბების მასას შორის.

მიგრანტთა შემოტევა განვითარებულ ქვეყნებზე მხოლოდ ანარეკლია იმ დაპირისპირებისა, რაც მსოფლიოს წინ ელოდება.

ევროპის დიდ ქალაქებში მიმდინარე პროცესები, თუნდაც ვიზუალური ცვლილებები, საგანგაშო უნდა იყოს ცივილიზებული სამყაროსათვის და, პირველ რიგში, მდიდრებისათვის.

ამერიკელი სოციოლოგის-იმანუილ ვალერსტაინის პროგნოზით, მსოფლიო კრიზისის ბოლო სტადიაზე იმყოფება და არავინ იცის, რა მოხდება 50 წლის შემდეგ, რადგან კრიზისის ფაზა სასიკვდილოა.

მსოფლიოს მოსახლეობის პირამიდა ეყრდნობა 4 მილიარდ ადამიანს, რომელთა წლიური შემოსავალი 4000 დოლარია, აქედან, ერთი მილიარდი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და დღეში საკვებზე მხოლოდ 2 დოლარს ხარჯავს.

ცუდი მდგომარეობაა საქართველოში, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების მაჩვენებლებით საქართველო, მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის- 24-ე, ხოლო სიღარიბის ზღვარზე მყოფ პირთა დასაქმების მიხედვით -26-ე ადგილზეა. განათლებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით -28-ე ადგილი გვიჭირავს, ხოლო კვალიფიციურ სამუშაო ძალის დასაქმების მიხედვით- 35-ე ადგილზე ვართ. ჯინის ინდექსი-0,52-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების წევრებს შორის არ ხდება შემოსავლების გადანაწილება და იგი ადამიანების მცირე ჯგუფში გროვდება.

მდიდარი ადამიანები იმაზე კი არ უნდა ხარ-

ჯავდნენ თანხებს, თუ როგორ დაიცვან ქვეყნის საზღვრები, არამედ სერიოზული დანახარჯები უნდა გასწიონ უშუალოდ მიგრანტთა ქვეყნებში იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც ინკლუზიური ეკონომიკის საფუძველი გახდება.

საინტერესოა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაინტერესება ეკონომიკის ინკლუზიური განვითარებით, რამდენადაც ამ მოდელის დროს სახელმწიფო იღებს სოციალურ ვალდებულებას, თუ ეროვნული მეურნეობის რომელი მიმართულება განვითარდეს და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის.

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს სოფლის მეურნეობა ზოგადად, და ის დარგები კონკრეტულად, რომელთაც შეუძლიათ მეტი ადამიანის დასაქმება და მეტი შემოსავლის მოტანა.

ასეთი დარგის შერჩევა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით შეუძლებელია. თავის დროზე ქვეყნის შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოიყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა, 3 ქვეზონით. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ერთი ან ორი სასურსათო პროდუქტის შერჩევა, რომლის განვითარებითაც შესაძლებელი გახდება ქვეყნის აგრარული ეკონომიკის წამოწევა.

თუმცა არსებობს გამოსავალი. სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით შეირჩეს ერთი ან ორი პროდუქცია, რომლის წარმოებასაც სახელმწიფო შეუწყობს ხელს, მსოფლიოში ყველაზე მეტად განვითარებული მეთოდით-გასაყიდი ფასების სუბსიდირებით, რაც მოცემული პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების პირდაპირი გზაა.

შესაძლებელია წარმოების საშუალებების შესასყიდი ფასების სუბსიდირება. ნუ დაგვავიწყდება, რომ განვითარებული საწარმოო მომსახურების სფეროს შედეგი იყო ის, რომ სასოფლო- სამეურნეო სავარგულების 7%-ზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 45-48%.

ერთ-ერთი სასოფლო - სამეურნეო კულტურა, რომელსაც შეუძლია ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით ადამიანების მაქსიმალური დასაქმება და მაღალი შემოსავლების მოტანა - არის ჩაი.

საქართველოში შემორჩენილია 10 ათას ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია, აქედან 2 ათას ჰექტარამდე, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია, ხოლო 7,7 ათასამდე ჰა- გაველურებულია.

სპეციალისტების გაანგარიშებით ჩაის პლანტაციები შესაძლოა გაიზარდოს 20-25 ათას ჰექტარამდე. სრულმოსავლიანობის პერიოდში შესაძლებელი იქნება 63-65 ათასამდე ადამიანის დასაქმება ჩაის კრეფაზე, ხოლო ჩაის ფაბრიკებში - პროდუქციის გადამუშავებაზე და შეფუთვაზე შესაძლებელი გახდება 3-5 ათასი ადამიანის დასაქმება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება 28-30 ათასი ადამიანის შრომითი მოწყობა.

აღსანიშნავია, რომ მაღალი კაპიტალტევადობის გამო, რეაბილიტაციის პროცესშიც კი, მეჩაიეობა ინარჩუნებს ინკლუზიურ ხასიათს. ჩვენი გაანგარიშებით, სამუშაოს ხასიათისაგან დამოკიდებულებით, ერთი ჰა-ს რეაბილიტაცია ჯდება 3200-7000 ლარი, დღგ-ს ჩათვლით. შემორჩენილი ფართობების პირველი წლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 43 მლნ. ლარია, მეორე წელს 19, ხოლო მესამე წელს 17 მლნ. ლარი.

ერთ ჰა-ზე შესაძლებელია 3-3,5 მკრეფავის დასაქმება. საშუალოდ, რეაბილიტაციის პირველ წელს, შესაძლებელია მოიკრიფოს 0,7 ტონა, მეორე წელს-2,0, ხოლო მესამე წელს-3,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ერთი ჰა რეაბილიტირებული ჩაის პლანტაცია იძლევა პირველ წელს, სულ მცირე 2100 ლარის ღირებულების მწვანე ფოთოლს, მეორე წელს- 6000, ხოლო მესამე წელს-10000 ლარის პროდუქციას. თუ ვიგულისხმებთ, რომ ერთ ჰა პლანტაციას სჭირდება 3 მკრეფავი, მაშინ პირველ წელს ერთი მკრეფავის ანაზღაურება იქნება 700 ლარი, მეორე წელს-2000 ლარი, ხოლო მესამე წელს-3500 ლარი.

ჩაის ფაბრიკებთან ინტეგრირებული წარმოების პირობებში, მნიშვნელოვნად იზრდება მეჩაიეების შრომის ანაზღაურება.

ქვეყანაში უნდა შემუშავდეს მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც არსებული პლანტაციების რეაბილიტაცია, ისე ახლის გაშენება. ამ გზით შესაძლებელი გახდება ინკლუზიური ზრდის მოდელზე მორგებული ეკონომიკის განვითარება. ვიტყვით იმასაც, რომ მეჩაიეობასთან ერთად, ინკლუზიური ზრდის მოდელის გამოყენების დიდ შესაძლებლობას მოიცავს ისეთი დარგები, როგორიცაა მევენახეობა, მეხილეობა, მემცენარეობა, ეთერზეთების წარმოება.

თუ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ ადამიანების დასაქმებაზე და შემოსავლების ზრდაზე, მეჩაიეობის რეაბილიტაცია და ახლის გაშენების პროგრამა ისეთივე პასუხისმგებლობით უნდა გაკეთდეს, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ელექტრომომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 4 დეკემბერს მოისმინა მოხსენება “ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ელექტრომომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობა.” **მომხსენებელი:** აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე.

აღინიშნა, რომ ელექტრომომარაგების სისტემის **საიმედოობა** გულისხმობს მის თვისებას იმუშაოს რეჟიმის მოცემული საექსპლუატაციო პარამეტრების მიხედვით და უზრუნველყოს მომხმარებლების **პირველი კატეგორიის** განსაკუთრებით რთული უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის მქონე ელექტრომომხმარებლების ელექტრომომარაგება, რომელიც მუშა რეჟიმის აღდგენისათვის დიდ დროს მოითხოვს, უნდა მოხდეს კვების ორი დამოუკიდებელი წყაროდან, რომელსაც ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიურობით განპირობებული დამატებითი მოთხოვნები წაეყენება.

მეორე კატეგორიის მომხმარებლების ელექტრომომარაგება რეკომენდებულია კვების ორი დამოუკიდებელი წყაროდან განხორციელდეს. ერთ-ერთი მათგანის დაზიანების შემთხვევაში ენერგიის მიწოდების შეწყვეტა კვების სარეზერვო წყაროს ჩართვისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობითაა დასაშვები.

მესამე კატეგორიის ელექტრომომხმარებლების ელექტრომომარაგება შეიძლება კვების ერთი წყაროდან განხორციელდეს იმ პირობით, რომ ენერგიის მიწოდების შეწყვეტების ან ელექტრომომარაგების სისტემის დაზიანებული ელემენტების შეცვლის ხანგრძლივობა ერთ დღეღამეს არ გადააჭარბებს მოთხოვნილი ელექტრო მომარაგება.

სოფლის მეურნეობაში აგროინჟინერია და მისი დარგები: მექანიზაცია ელექტრიფიკაცია და ჰიდრომელიორაცია, სადაც აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აგრარული წარმოების განვითარება და შესაბამისად ამ წარმოების ელექტრიფიკაცია.

აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია დაკავშირებულია, სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ ბალანსთან, ენერგიის მისაღებად ენერგიის ახალი წყაროების ათვისებასთან. ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებთან და ტექნიკასთან, ელექტრო ენერგიით მომარაგების სისტემის რაციონალიზაციასთან, მის **ხარისხთან** და **საიმედოობასთან.**

დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ელექტრო მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობა

სტანდარტის მიხედვით არსებობს ელექტროენერგიის ხარისხის 11 მაჩვენებელი:

1-ძაბვის დამყარებული გადახრა (δUდამყ);
2-ძაბვის ცვლილების მანძილი (δUt);
3-ფლიკერის დოზა (Pt)
4-ძაბვის მრუდის სინუსოიდურობის დამახინჯების კოეფიციენტი (KU);
5-ძაბვის n-ური ჰარმონიული მდგენელის კოეფიციენტი [KU(n)]
6-უკუთანმიმდევრობის ძაბვის არასიმეტრიულობის კოეფიციენტი (K2U)
7-ნულოვანი თანმიმდევრობის ძაბვის არასიმეტრიულობის კოეფიციენტი (K0U);
8-სიხშირის გადახრა (Δf);
9-ძაბვის ჩავარდნის ხანგრძლივობა (Δtჩ);
10-იმპულსური ძაბვა (Uimp)
11-დროებითი გადაძაბვის კოეფიციენტი (Kdr.U)

ელენერგიის მომხმარებლებზე მიწოდებულ ხარისხის 11 მაჩვენებელს ემატება, მიწოდების უწყვეტობა (საიმედოობა)- ელენერგიის შეწყვეტა (გეგმიური და ავარიული).

საიმედოობის თეორია მრავალწახნაგა მეცნიერული დარგია, რომელიც შეისწავლის ტექნიკური ობიექტების ეფექტური მუშაობის საფუძვლებს. ამასთან დაკავშირებით, მათემატიკური აპარატის გამოყენებით იგი განიხილავს კონსტრუქციულ, ტექნოლოგიურ, ფიზიკურ-ქიმიურ და ორგანიზაციულ საკითხებს.

არასაკმარისი საიმედოობა აქვეითებს მათი გამოყენების ეფექტურობას მუშაობის **პროცესში.** მომხმარებელთა ელექტრომომარაგების სისტემის *საიმედოობა* წარმოადგენს მისი თვისობრიობის ერთ-ერთ მაჩვენებელს, თუმცა იგი არსებითად განსხვავდება, ენერგიის ხარისხის 11 მაჩვენებლისგან. ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ, თუ სისტემას არ გააჩნია საიმედოობის მოთხოვნილი დონე, ყველა დანარჩენი 11 მაჩვენებელი კარგავს პრაქტიკულ **მნიშვნელობას. საიმედოობის ფაქტორი ყველასთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ელექტრომომარაგების სქემის შერჩევის დროს.**

საიმედოობა ესაა სისტემის, მოწყობილობის ან დანადგარის თვისება, შეინარჩუნოს თავისი საექსპლუატაციო მაჩვენებლები მოთხოვნილი დროის და სამუშაოს პირობებში.

რაოდენობრივად საიმედოობა ხასითდება **სტატიკური ალბათობით**, ან ნორმალური და არანორმალური (ავარიული) მუშაობის ხანგრძლივობის შემთხვევითი სიდიდეებით.

საიმედოობის რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე შესაძლებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებაც. **სისტემური საიმედოობა**, რთული ტექნიკური ან მწარმოებელი ობიექტის სანდოობა განისაზღვრება ერთიანი ენერგოსისტემის მიერ მომხმარებლის ელექტრომომარაგების ძირითადი ამოცანის შესრულებით, რომლის დონეც უზრუნველყოფილია განხილული ელექტროენერგეტიკის ობიექტების ბალანსური, სტრუქტურული და რეჟიმური სანდოობით. სისტემური სანდოობის შესაძლო მაჩვენებლების განხილვისთვის, გამოვყოთ ბლოკ 5 ში დატვირთვის ზოგიერთი კვანძი.

ელექტრო დანადგარის ტიპის და გამოყენებულ ტექნოლოგიის მიხედვით მომხმარებელს შეუძლია დასაბუთებულად მოითხოვოს ენერგოსისტემისგან ელექტრომომარაგების საიმედოობა. ამასთან ერთად სანდოობის დონე განისაზღვრება სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიური შედეგებით, ელექტროენერგიის მოწოდების უეცარი შეწყვეტით ან შეზღუდვით, თანაც ნეგატიური შედეგების სიდიდე ხშირად დამოკიდებულია ელექტროენერგიის შეწყვეტის ხანგრძლივობაზე. მომხმარებელს შეუძლია ზარალის გარეშე დაუშვას გარკვეული დროით შეზღუდვა მოხმარებული სიმძლავრის $P_{დასაშ}$.-მდე გარკვეული ზომების მიღების ხარჯზე, მაგალითად, დამხმარე წარმოებების გამოთიშვა.უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფიდან გამომდინარე, ელოექტროენერგიის მოხმარების დროს გამოყენებული ტექნოლოგიისას დაშვებული უნდა იქნას დატვირთვის სიმძლავრის შემცირება $P_{დასაშ}$-ის ქვემოთ დროებით სრულ გამორთვამდე რომელიც არ აღემატება $T_{დასაშ}$ -ს. მაშინ მომხმარებლისთვის **ელექტრომომარაგების გათიშვა** განისაზღვრება მსჯელობით-პროპოზიციული ფორმულით:

$$Q_{\text{მოშხ გათიშ}} = \left(P_{\text{სისტმოთხ}} < P_{\text{დასაშ}}\right) \cap \left(T_{\text{აღდგ}} > T_{\text{დასაშ}}\right)$$

1.ელექტროენერგეტიკული სისტემების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ტექნოლოგიისა და დანადგარების სრულყოფის მოთხოვნასთან ერთად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს რთული ტექნიკური კომპლექსების ფუნქციონირების მართვის რაციონალური ორგანიზაციის საკითხები.

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია აუცილებლობა შეცვლილიყო დამოკიდებულება ელექტროენერგეტიკის მიმართ. რაც მოიცავს მომხმარებლების მიმართ ელექტრომომარაგების საიმედოობაში ელმომარაგების სუბიექტებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას.

3. ელექტრომომარაგებაში სისტემური საიმედობის სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია ამოცანის სპეციფიკაზე, რომლებსაც წყვეტენ ელექტროენერგიის მომმარაგებელი სუბიექტები.

4. აგრარული წარმოების საიმედო, უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, პროდუქციის ელექტროტევადიობის შემცირებისა და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა.

დაჯილდოება

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-საგანმანთლებლო საქმიანობისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის აკადემიკოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აკადემიკოსები: არჩილ ვაშაკიძე, იუზა ვასაძე, ვაჟა კვალიაშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნოდარ ჭითანავა, გურამ პაპუნიძე, შოთა ჭალაგანიძე, ვალერიან ცანავა, თამაზ კუნჭულია, ჯემალ კაციტაძე. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: თამაზ თურმანიძე, გიორგი ნიკოლეიშვილი, ოთარ ლიპარტელიანი.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საორგანიზაციო საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტები დალი თარხნიშვილი და იზოლდა კობახიძე.

ინფორმაცია
ქ. პეკინში (ჩინეთი) ჩატარებული რეგიონალური კონსულტაციის შესახებ, CABI - აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ

(16-19 ოქტომბერი, 2018 წელი)

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ CABI (საერთაშორისო ბიოლოგიური კვლევების ორგანიზაცია) და ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. მონაწილეობდნენ ყველა ის ქვეყანა ვისთანაც CABI-ის აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ერთობლივი კვლევების ჩატარების შესახებ. CABI-ის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეს ინვაზიური სახეობებია და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებების დამუშავება და პრაქტიკაში გამოყენება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ჩინეთმა, კორეამ, ავსტრალიამ, ინდოეთმა, პაკისტანმა, მალაიზიამ, ფილიპინებმა, ინდონეზიამ, იაპონიამ, ლაოსმა, აფრიკის ქვეყნებმა და ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციამ (კაკაარი). ამ უკანასკნელის სახელით მოწვეული იყო და მოხსენება გააკეთა კაკაარის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ. თავის გამოსვლაში ის ფართოდ შეეხო ისეთ საკითხებს როგორიცაა: კალიების, აზიური ფაროსანას, ამერიკული თეთრი პეპელას და სხვა სახეობების ფართოდ გავრცელებას რეგიონში. ასევე წინადადებით შევიდა სხდომის წინაშე რათა მოხდეს CABI-ის ბიოლოგიური საშუალებების ფართო გამოყენება ჩვენს რეგიონში, რაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იქნებოდა. ასევე მან დააყენა საკითხი საქართველოსა და CABI-ის ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცების შესახებ.

სხდომებს ხელმძღვანელობდა CABI-ის ერთ - ერთი ხელმძღვანელი დოქტორი ტრევორ ნიკოლსი. შემდეგი სხდომა გაიმართება ინგლისში მომავალი წლის სექტემბერში. თათბირის ბოლო დღეს მონაწილეებმა დაათვალიერეს ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

მრგვალი მაგიდა ავსტრიელი მეცნიერების მონაწილეობით

2018 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა საერთაშორისო პროექტის -**„აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)"** ფარგლებში .

მრგვალი მაგიდის თემა გახლდათ: „ელექტრონული სწავლება წყლის ინჟინერიაში".

მრგვალი მაგიდა გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, **აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ.** მან მონაწილეებს გააცნო აკადემიის მისია და მიზნები, მისი როლი არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ საგანმანათლებლო მიმართულებით. ასევე, მან აღნიშნა, რომ სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიმართულებთ.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

- ვილიბალდ ლოისქანდლი -

პროფესორი, ავსტრიის ვენის ბუნებრივი რესურსები სა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტი (BOKU);

- მარგარიტა ჰიმელბაუერი - პროფესორი, ავსტრიის ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნების-მეტყველო მეცნიერებების უნივერისტეტი (BOKU);

- მომხსენებლები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: პროფესორი **ირაკლი ყრუაშვილი** - აკადემიის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი**,** პროფესორები **ირმა ინაშვილი და კონსტანტინე ბზიავა.**

მომხსენებლებმა აღნიშნეს აკადემიასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომ-

ლობის მნიშვნელობა, როგორც ეროვნულ, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე ის, რომ გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, რამდენადაც ის ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ზოგადი ცნობიერების, ეკოლოგიური საფრთხეებისა და რისკების შესახებ ცოდნის ამაღლებას. პროექტის საერთო მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში უმაღლესი განათლების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, ეკოლოგიური და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, ACCES-ს პროექტის ფარგლებში ყურადღება დაეთმობა:

- უნივერსიტეტის შესაძლებლობათა გაზრდას ინოვაციური გარემოს ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის გზით, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლესი სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიაზე;
- ცოდნის გადაცემის მიზნით, აკადემიური პერსონალის კომპეტენციების ცოდნის გადაცემის მიზნით, აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განმტკიცებას, სწავლებისა და კვლევის არსებული მიდგომების ხარისხის გაუმჯობესებით;
- სამეცნიერო–პედაგოგიური კვალიფიკაციის რეალიზების მიზნით უმაღლესი განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების სისტემის დინამიკური ჩარჩოს ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარება კვლევისა და სწავლების რაციონალურ იდეებზე დამყარებულ აზრთა გაცვლითა და დიალოგით.

პროექტის ძირითადი ამოცანებია: არსებული სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „წყლის ინჟინერია“განახლება; ახალი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „გარემოს ინჟინერია“ შექმნა, რომელიც დაეფუძნება უახლესი კვლევების შედეგებს, სასწავლო მეთოდებსა და ხერხებს; ახალი მოსაზრებებისა და პერსპექტივების მიღწევის მიზნით პროფესიონალური, კულტურული და პირადი ცოდნა-გამოცდილების გაზიარება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, სტუ-ს და BOKU-ს შორის.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა აკადემიის წევრების და სპეციალისტების საინტერესო გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს - აკადემიკოსებმა ელგუჯა შაფაქიძემ, არჩილ ვაშაკიძემ, ჯემალ კაციტაძემ, აკადემიის მთავარმა სპეციალისტმა, დოქტორმა გივი მოსაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა დავით გუბელაძემ, დიმიტრი ნატროშვილმა, ტექნ. მეცნ. დოქტორმა ირაკლი დვალმა.

მრგვალი მაგიდის დასასრულს გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში უნივერსიტეტის პროფესურასთან ერთად აქტიურად უნდა ჩაერთონ ზემოთ აღნიშნული პროექტის ძირითადი შემსრულებლები, აკადემიის მეცნიერები და შემდეგ უნდა მოხდეს აკადემიის შესაბამის სამეცნიერო განყოფილებაში ამ პროგრამების პერიოდულად ერთობლივი განხილვა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებაში“ ვინიცის (უკრაინა) ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 25-26 ოქტომბერს ვინიცის (უკრაინა) ეროვნულმა აგრარულმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ინოვაციური ტექნოლოგიები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებაში“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე. იგი პლენარულ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით „საქართველოს მეცხოველეობის განვითარების ტენდენციები და კანონმდებლობა მსოფლიო აგრარული სექტორის ზოგიერთი გლობალური საკითხის ფონზე“.

კონფერენციის მუშაობა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გრიგორი კალეტნიკმა. კონფერენციის მუშაობაში სულ მონაწილეობდა -32 სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია, მათ შორის - 9 საზღვარგარეთის (ბოლონიის ვეტერინარული მედიცინის ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსიის ხორცისა და რძის წარმოების ინსტიტუტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, კომპანია იოზერის (გერმანია) წარმომადგენლობა ევროპაში, სლოვაკეთის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი ნიტრიში, ლოძის უმაღლესი პრაქტიკული სკოლა (პოლონეთი), ლიუზიანას შტატის უნივერსიტეტი (აშშ), სოსკოტუნის უნივერსიტეტი (კანადა)). უკრაინის უნივერსიტეტები და კოლეჯები - 13, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები - 3, საწარმოო მეურნეობები და ორგანიზაციები - 7.

კონფერენციაზე განხილული იქნა საკითხები შემდეგი მიმართულებით: წარმოების პერსპექტიული ტექნოლოგიები მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში; ინოვაციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სელექციაში, ვეტერინარულ ჰიგიენაში, სანიტარიასა და ექსპერტიზაში; უახლესი ტექნოლოგიები მეცხოველეობასა და მეთევზეობაში; კვების ტექნოლოგიები და ინჟინერია.

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო სტუდენტებისა და ასპირანტების მიერ დამზადებული მეცხოველეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა.

უცხოელი სტუმრებისათვის ორგანიზებული იქნა ექსკურსია ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის ჩერნიატინსკის კოლეჯში (დირექტორი სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი ვიტალი კუჩერიავი). სტუმრები გაეცვნენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მფლობელობაშია 660 ჰექტარი მიწის ფართობი, ხეხილის ბაღები, მეცხოველეობის ორი ფერმა, რამდენიმე ტბა, სადაც ხდება თევზის მოშენება, საფუტკრე მეურნეობა და სხვა. კოლეჯში სწავლობს 400 - ზე მეტი სტუდენტი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა ვიქტორ მაზურმა.

მეცნიერების მსოფლიო დღე

2018 წლის 09 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიაში გაიმართა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების მსოფლიო დღეს.

2001 წელს „იუნესკოს“ მიერ დაფუძნებული მეცნიერების მსოფლიო დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიო მასშტაბით. ეს დღე დაარსდა მეცნიერების მსოფლიო კონფერენციის შედეგად, რომელიც ასევე „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ქ. ბუდაბეშტში (უნგრეთი) 1999 წელს მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ. ამ თარიღის აღნიშვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას მეცნიერების როლის აუცილებლობა ქვეყნებში და საერთოდ მსოფლიოში, ეკონომიკური ზრდის და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით.

აკადემიის პრეზიდიუმის სხდომას გარდა აკადემიის წევრებისა ესწრებოდნენ საქართველოს აგრარული მიმართულების სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროების წარმომადგენლები, მეცნიერები, მაგისტები და დოქტორანტები.

პრეზიდიუმის სხდომა გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ. მან აღნიშნა საერთოდ მეცნიერების როლი ქვეყნების განვითარებასა და წინსვლის მიმართულებით და ამ კუთხით გააშუქა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიაში სამეცნიერო საქმიანობის მიმდინარეობა, ძირითადი მიმართულებები, აკადემიის მიერ შესრულებული არსებული და პერსპექტიული საინვესტიციო

პროექტები, აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა რეგიონებში, აკადემიის წევრების მიერ მიმდინარე წელს მომზადებული მონოგრაფიები, პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები და სხვა საცნობარო მასალა, აკადემიის მონაწილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული მიმართულების დარგების მეცნიერულ უზრუნველყოფაში და ყველა იმ საკითხების მეცნიერულ გადაწყვეტაში, როგორც მთავრობის მრჩეველი აგრარულ საკითხებში, რომელიც აგრარული სფეროს მეცნიერულ უზრუნველყოფას ეხება.

მონაწილეებს მიესალმენ აკადემიკოსები თამაზ კუნჭულია, გოგოლა მარგველაშვილი, ომარ ქეშელაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, რომლებმაც აღნიშნეს მსოფლიო სამეცნიერო წრეების და მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დამსახურება და სამეცნიერო წარმატებები აგრარული სფეროს სხვადასხვა დარგებში.

აკად. გივი ჯაფარიძემ მსოფლიო მეცნიერების დღესთან დაკავშირებით აგრარულ სფეროში ნაყოფიერი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის აკადემიის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა მეცნიერები:

1. **გიორგი ორმოცაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევითი სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;
2. **გიორგი ღამბაშიძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;
3. **კახა სოხაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **გიორგი მიქაძე** - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი;
5. **რევაზ რუსიეშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
6. **სერგო ლომიძე** - სოფლის მეურნეობის და ვეტერინარიის დოქტორი;
7. **ნათია ნაცარაშვილი** - შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები, ბაქტერიოლოგიური დედოს დამამზადებელი,სოფლის მეურნეობის დოქტორი;
8. **დიმიტრი ნატროშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს და აგრარული უნივერსიტეტების პროფესორი;
9. **ვლადიმერ მირუაშვილი** - ტექნიკის დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
10. **დავით ორმოცაძე** - ტექნიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

2018 წლის მსოფლიო მეცნიერების დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს წარმატებულ მეცნიერებს აგრარულ სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვებას.

მრგვალი მაგიდა
სურსათის რისკის შეფასების საკითხებზე

2018 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა სურსათის რისკის შეფასების საკითხებზე. რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერალური რისკის შეფასების ინსტიტუტის პრეზიდენტი - პროფესორი ანდრეას ჰენსელი (Prof. Dr. Dr. Andreas Hensel) აღმასრულებელი ოფისის ხელმძღვანელი : დოქტორი მაგნუს ეგერი (Dr. Magnus Jäger).

აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან. ინსტიტუტი ახორციელებს დამოუკიდებელ მეცნიერულ შეფასებებს, კვლევებს და გამჭვირვალე კომუნიკაციას სურსათთან და ცხოველის საკვებთან, სხვადასხვა სამომხმარებლო პროდუქციასთან და ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკების თაობაზე. ისინი ატარებენ ასევე კვლევებს და კონსულტაციებს, რათა სამეცნიერო ექსპერიმენტის პირობებში, მინიმუმამდე შემცირდეს ცხოველთა გამოყენება. მათი კვლევის შედეგები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შესაძლებლობას აძლევს, გადაწყვეტილებები მიიღონ მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს არის გერმანიის წამყვანი ინსტიტუტი, რომელიც ადგენს სტანდარტებს მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რათა ადამიანებისთვის მსოფლიო გახდეს უფრო უსაფრთხო. ინსტიტუტში საქმიანობას ეწევა დაახლოებით 750 შტატიანი თანამშრომელი და მის სტრუქტურაში შედის 9 დეპარტამენტი:

ადმინისტრაციული, რისკის კომუნიკაციის, ექსპოზიციის, ბიოუსაფრთხოების, სურსათის უვნებლობის, პესტიციდების უსაფრთხოების, ქიმიური ნივთიერებებისა და პროდუქტების უსაფრთხოების, სასურსათო ქსელის უსაფრთხოების, ექსპერიმენტული ტოქსიკოლოგიის.

აღნიშნული მრგვალი მაგიდის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, აკადემიის აპარატი და აკადემიის ეროვნული კოორდინატორები.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. იგი მიესალმა გერმანელ სტუმრებს და აღნიშნა, რომ სურსათის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში სურსათის რისკის შეფასების თანამედროვე და ინოვაციური სამეცნიერო გარემოს შექმნა, ხარისხის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოება შეუძლებელია ამ სფეროში ევროპის წამყვან ავტორიტეტულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის, მათი გამოცდილების გაზიარებისა და ამ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე. მით უმეტეს, რომ სწრაფად განვითარებად მსოფლიოში მუდმივად არსებობს ახალი რისკ-ფაქტორების წარმოქმნის საშიშროების პირობები, სულ უფრო

რთულდება ადამიანის ჯანმრთელობის გაფრთხილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შერჩევა.

საქართველოში რისკის ანალიზის შესაძლებლობების განვითარებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით გამოცდილი ადამიანური რესურსის არსებობა. გერმანიის ფედერალური რისკის შეფასების ინსტიტუტი ამ კუთხით უამრავ აქტივობას ახორციელებს: გადაცემს ცოდნას და მჭიდროდ თანამშრომლობს ქართველ მეცნიერებთან, თუ სპეციალისტებთან. ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოში ერთის მხრივ სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდას და ასევე, ეროვნულ დონეზე სურსათის უვნებლობის სფეროში მეცნიერული პრინციპებისა და რისკის ანალიზის თანმიმდევრული გამოყენების შესაძლებლობების არსებობას.

მან ასევე, აღნიშნა, რომ აკადემიის როგორც მასპინძლის როლი განპირობებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიზნებისა და ამოცანების, ასევე აკადემიის ფარგლებში რისკის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობებიდან გამომდინარე. აკადემიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურას წარმოადგენს სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება, რომელიც აქტიურად არის ჩართული საქართველოში მიმდინარე ყველა იმ პროცესში, რომელიც უკავშირდება სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, საფრთხეების ინიცირებას, მეცნიერული განხილვების ორგანიზებას, თუ საკანონმდებლო ინიციატივებს.

ამის შემდეგ მან სიტყვა გადასცა სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანს აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილს. მან დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა მოკლე ინფორმაცია იმ სამუშაოების, შესახებ რომელსაც ახორციელებს აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა გერმანიის ფედერალური რისკის შეფასების ინსტიტუტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ანდრეას ჰენსელმა. მან ისაუბრა გერმანიის გამოცდილებაზე რისკების შეფასებისა და მათი პრევენციის მიმართულებით. დასასრულს მან წარმატება უსურვა ქართველ კოლეგებს და გამოთქვა სურვილი მომავალი მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკადემიკოსებმა: არჩილ ვაშაკიძემ, ალექსანდრე დიდებულიძემ, პროფესორმა ანზორ მესხიშვილმა, ზურაბ ცქიტიშვილმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ.

სამეცნიერო კონფერენცია აკადემიაში

„ნიადაგის მსოფლიო დღე 2018“

5 დეკემბერი ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე 2013 წლის შემდეგ, გაეროს 68-ე გენერალურ ასამბლეაზე მიღებული **გადაწყვეტილების შემდეგ აღინიშნება**.

გაეროს ინფორმაციით, დედამიწის ნიადაგის მესამედი უკვე დეგრადირებულია. „ნიადაგის დაბინძურება შეიძლება უხილავია, მაგრამ ის ყველას აზიანებს.

2050 წლისთვის პლანეტის მოსახლეობის რაოდენობამ შესაძლოა 9 მილიარდს მიაღწიოს. მოსახლეობის ზრდის პირობებში, ნიადაგი სულ უფრო ბინძურდება. ეს აისახება საკვებზე, რომელსაც მივირთმევთ, წყალზე, რომელსაც ვსვამთ და ჰაერზე, რომელსაც ვსუნთქავთ“ -

წერია გაეროს ვებგვერდზე.

ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღეს ტარდება სხვადასხვა კამპანია, რომელთა მიზანიც ნიადაგის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.

2018 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ნიადაგის მსოფლიო დღეს.

კონფერენციის ჩატარების ორგანიზატორები იყვნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტი და აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი აკად. გოგოლა მარგველაშვილი, სწავლული მდივანი დოქტ. რეზო ლოლიშვილი).

კონფერენციას ესწრებოდნენ აკადემიის წევრები, აპარატის თანამშრომელები, მეცნიერები ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, აგრარული მიმართულებების მაგისტრები და დოქტორანტები საქართველოს აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტებიდან.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა და ნიადაგის მსოფლიო დღის ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარიძემ.

კონფერენციაზე ძალზე საინტერესო სამეცნიერო მოხსენებები და პრეზენტაციები წარმოადგინეს აკად. გ. მარგველაშვილმა, აკად. თენგიზ ყურაშვილმა, აკად. ზ. ჩანქსელიანმა, დოქტ. გიორგი ღამბაშიძემ და დოქტ. გიზო გოგიჩაიშვილმა (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი), პროფ. როზა ლორთქიფანიძემ (ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. გ. გაგოშიძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), დოქტ. რ. ლოლიშვილმა (სსმმ აკადემია). კონფერენციის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მონაწილე მეცნიერებმა, მაგისტრებმა და დოქტორანტებმა.

კონფერენციის დასასრულს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ და აგრონომიის სამეცნიეროგანყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკად. გ. მარგველაშვილმა ნიადაგმცოდნეობის სფეროში წარმართული ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აკადემიის საპატიო სიგელით დააჯილდოეს პროფ. როზა ლორთქიფანიძე, პროფ. ციალა ფიფია (ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი), დოქტ. ალექსანდრე მეგრელიძე (სამეცნიერო-კვლევითიცენტრი) და დოქტ. ტარიელ ჯიაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა ტელეკომპანია "საფერავი TV"-ს მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა

თემა: "საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი და წარმატებული ინოვაციური პროექტების პრეზენტაცია".

მასში **მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; ტელეკომპანია „ საფერავი TV"; ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აიპი "ჯორჯიან გაპი"; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; შ.პ.ს „ ადმირალი"; შ.პ.ს „გრინ სოლუშენი"; შ.პ.ს „ ALLLAgro - Georgia LLC"; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; შ.პ.ს „ჯეოვეტი".

მრგვალი მაგიდა ჩატარდა შემდეგი დღის წესრიგით:

1. **მრგვალი მაგიდის გახსნა** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **აკად. გურამ ალექსიძე;**
2. საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი და წარმატებული ინოვაციური პროექტები, **მომხსენებელი: გოჩა ცოფურაშვილი - ტელევიზია "საფერავი TV";**
3. ტელევიზიის ფუნქცია და ხედვა აგრარული პოლიტიკის ფორმირებაში, **მომხსენებელი: დიმიტრი კოსტაროვი - ტელევიზია "საფერავი TV"**
4. კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა, **მომხსენებელი: ნოდარ მინდიაშვილი - აიპი "ჯორჯიან გაპი";**
5. საერთაშორისო კომპანიის პლატფორმა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, **მომხსენებელი: ედვარდ ლოზოვსკი - შ.პ.ს „ ALLLAgro - Georgia LLC";**
6. თევზის წარმოება და აგროტურიზმი, **მომხსენებელი სერგეი პანჩენკო - შ.პ.ს "ადმირალი";**
7. სასოფლო სამეურნეო ბაღების გაშენების თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიები საქართველოში, **მომხსნებელი რომან ჩხენკელი - შ.პ.ს „გრინ სოლუშენი";**
8. მეცხოველეობაში თანამედროვე ბიოდანამატების გამოყენება და მისი საწარმოო ეფექტი, მომხსნებელი: **მანუჩარ ცეცხლაძე - შ.პ.ს „ჯეოვეტი".**
9. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ახალი პრეპარატის ეფექტურობის შესწავლა საქართველოს პირობებისათვის, **მომხსენებელი: გივი ჩიმაკაძე, ომარ ლომთაძე - ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

გაიმართა დისკუსია რომელშიც მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, დოქტორი ანზორ მესხიშვილი, დოქტორი მარინა გიორგობიანი., დოქტორი კახა ლაშხი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული წარმატებული პროექტების პოპულარიზაციისათვის.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი. მათ შორის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარედ ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორის თინათინ ეპიტაშვილის დამტკიცების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს კურატორად აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის დამტკიცების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; ინფორმაცია შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA)–ს საერთაშორისო კონფერენციის მზადებასთან დაკავშირებით. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ე. შაფაქიძე.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი,* ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის* ***დოქტორი ანატოლი გიორგაძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,* ***ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი***

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.